საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 69223113**
თარიღი:**07/11/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბაზალეთის და სოფელ ვარძიის სასოფლო ამბულატორიების უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 04 ოქტომბრის **N 5 / 55082** მომართვის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო ამბულატორიის შემდეგი შენობები:

1. სოფელ ბაზალეთში ამბულატორიის შენობაში, პირველ სართულზე მდებარე 20,18 კვმ ფართი (ს.კ.36.02.33.001.01.501),

2. სოფელ ვარძიაში ამბულატორიის შენობაში, პირველ სართულზე მდებარე 32,70 კვმ ფართი (ს.კ.36.11.33.307.01.501), უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგზე გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს აღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი